ემანუელ ტოვი

ებრაული უნივერსიტეტი, იერუსალიმი

# თარგმანებისა და ებრაული ტექსტების რევიზირება MT-ს მიხედვით

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის სათანადოდ აღწერილი მასორეტული ტექსტის კონსონანტური ფენა, რომელიც ჯერ კიდევ იუდეის უდაბნოს ტექსტებში დასტურდება. შუა საუკუნეების მასორეტული აპარატი და შუასაუკუნეების ხელნაწერთა შორის არსებული განსხვავებები ვრცლადაა აღწერილი, ხოლო კონსონანტური (პროტო-)მასორეტული ტექსტი ჯეროვნად ჯერაც არ დახასიათებულა. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საუკუნეების მანძილზე MT-ში შეტანილ მრავალრიცხოვან ცვლილებებს.